

## შეტყობინება მერვე

### დავითის თესლი ხდება ღმერთის ძე

ადგილები წერილიდან: 2 მეფ. 7:12ა, 14ა; მათე 22:41-45; საქმე. 13:23, 33; რომ. 1:3-4; 8:29; გამოცხ. 22:16

- I. „აღვადგენ შენს შემდგომ შენს თესლს... მე ვიქნები მისი მამა, და ის იქნება ჩემი ძე“ – 2 მეფ. 7:12ა, 14ა:
- ა. გამოთქმა „შენი თესლი“ აქ სიტყვა სიტყვით მიუთითებს სოლომონზე, დავითის ძეზე – 3 მეფ. 5:5; 8:15-20.
  - ბ. ებრ. 1:5ბ-ს თანახმად, სადაც მოყვანილია ციტატა ნათქვამი მე-2 მეფ. 7:14ა-ში, დავითის თესლი არის სინამდვილეში ქრისტე როგორც ღმერთის პირმოძო ძე, რომელსაც აქვს ღვთაებრიობაც და ადამიანობაც – ებრ. 1:5ა, 6.
  - გ. სიტყვა „შენს თესლზე“ მე-2 მეფ. 7:12ა-ში და „ჩემს ძეზე“ მე-14ა მუხლში გულისხმობს, რომ დავითის თესლი გახდება ღმერთის ძე, ანუ ის, რომ ადამიანის თესლი გახდება ღვთაებრივი ძე – რომ. 1:3-4.
  - დ. ნათქვამი აქ იმის შესახებ, რომ დავითის თესლი გახდება ღმერთის ძე, გრძელდება და ვითარდება ახალ აღთქმაში – მათე 22:41-45; გამოცხ. 22:16.
- II. მათეს 22:41-45-ში უფალმა იესომ დასვა უდიდესი შეკითხვა სამყაროში: „თქვენ რას ფიქრობთ ქრისტეზე? ვისი ძეა ის?“ – მუხ. 42ა:
- ა. ფარისეულებმა თქვეს, რომ ქრისტე არის დავითის ძე, ხოლო უფალმა ჰკითხა მათ, როგორ შეეძლო დავითს ეწოდებინა ქრისტესთვის უფალი, თუ ქრისტე არის მისი ძე – მუხ. 43-45.
  - ბ. ჩვენ შეგვიძლია შევიცნოთ ქრისტე მხოლოდ ჩვენს სულში ღმერთის გამოცხადების მეშვეობით – მუხ. 43; ეფეს. 3:5.
  - გ. ქრისტე არის ღმერთი; თავის ღვთაებრიობაში ის არის დავითის უფალი – მათე 22:43.
  - დ. გარდა ამისა, ქრისტე არის ადამიანი; თავის ადამიანობაში ის არის დავითის ძე – მუხ. 42, 45.
- III. გამ. 22:16-ში უფალმა იესომ თქვა: „მე ვარ დავითის ფესვი და შთამომავალი“:
- ა. თავის ღვთაებრიობაში ქრისტე არის დავითის ფესვი, მისი სათავე; თავის ადამიანობაში ქრისტე არის დავითის შთამომავალი, გამოსული მისგან.
  - ბ. ქრისტე როგორც დავითის ფესვი არის უფალი, ხოლო როგორც დავითის შთამომავალი, ის არის ასევე დავითის ძე, მისი ამონაყარი; როგორც გამოთქმა „დავითის შთამომავალი“ მიუთითებს იმაზე, რომ უფალი არის ადამიანი და რომ ის გამოვიდა დავითიდან, ასევე გამოთქმა „დავითის ფესვი“ მიუთითებს იმაზე, რომ ის არის ღმერთი და რომ დავითი გამოვიდა მისგან.
  - გ. გამოცხ. 22:16-ში თვითონ ქრისტემ აღიარა, რომ ის არის ადამიანი, ისევე როგორც ღმერთი, რომ მას აქვს ადამიანური ბუნებაც და ღვთაებრივი ბუნებაც.
- IV. საქმეების მე-13 თავში პავლემ თქვა, რომ დავითის თესლიდან „ღმერთმა დაპირების თანახმად მოუვლინა ისრაელს მხსნელი, იესო“ (მუხ. 23) და რომ „ეს აღთქმა ღმერთმა

**მთლიანად შეასრულა... აღადგინა იესო, როგორც მეორე ფსალმუნშია ნათქვამი: „შენ ჩემი ძე ხარ; ამ დღეს გშობე მე შენ“ (მუხ. 33):**

- ა. 32-ე და 33-ე მუხლებში ჩვენ ვხედავთ, რომ ქრისტე როგორც ღმერთის პირმშო იყო დაპირებული მამებისათვის, და ღმერთმა შეასრულა ეს დაპირება, აღადგინა იესო.
- ბ. აღდგომა იყო დაბადება ადამიან იესოსათვის:
  - 1. ის დაიბადა ღმერთისაგან თავის აღდგომაში და გახდა ღმერთის პირმშო მრავალ ძმას შორის – რომ. 8:29.
  - 2. მარადისობიდან ის იყო ღმერთის მხოლოდშობილი ძე – იოანე 1:18; 3:16.
  - 3. თავისი განკაცების შემდეგ, აღდგომის მეშვეობით ის დაიბადა ღმერთისაგან თავის ადამიანობაში და გახდა ღმერთის პირმშო ძე – ებრ. 1:6.
- გ. პავლეს შეეძლო დაენახა უფლის აღდგომა ფსალ. 2:7-ში „შენ ჩემი ძე ხარ; დღეს გშობე მე შენ“:
  - 1. პავლემ გამოიყენა სიტყვა „დღეს“ უფლის აღდგენის დღესთან მიმართებით.
  - 2. ეს აღნიშნავს, რომ ქრისტეს აღდგომა იყო მისი როგორც ღმერთის პირმშო ძის დაბადება.
  - 3. იესო, ძე კაცისა, დაიბადა ღმერთის ძედ იმის მეშვეობით, რომ ის აღდგა მკვდრეთით, ამიტომ, როდესაც ღმერთმა აღადგინა იესო მკვდრეთით, მან ამის მეშვეობით შვა ის როგორც თავისი პირმშო ძე – საქმე. 13:33.
- დ. განკაცების მეშვეობით ღმერთის მხოლოდშობილი ძე შეიმოსა ადამიანობით და გახდა ღმერთკაცი (იოანე 1:14, 18; ლუკა 1:35); შემდეგ აღდგომაში ეს ღმერთკაცი დაიბადა ღმერთისაგან და გახდა მისი პირმშო (საქმე 13:33; ებრ. 1:6; რომ. 8:29):
  - 1. განკაცებამდე ღმერთის პირმშო ძეს არ ჰქონდა ადამიანური ბუნება – მას ჰქონდა მხოლოდ ღვთაებრივი ბუნება.
  - 2. აღდგომაში ღმერთის პირმშო ძეს გააჩნია როგორც ღვთაებრივი ბუნება, ასევე ადამიანური ბუნება.
- ე. თავისი აღდგომის მეშვეობით ქრისტე დაიბადა როგორც ღმერთის პირმშო, და იმავდროულად მისი ყველა მორწმუნე დაიბადა როგორც ღმერთის მრავალი ძე – 1 პეტ. 1:3; ებრ. 2:10:
  - 1. ამ მრავალ ძეს შორის მხოლოდ პირმშო არის ღმერთის მხოლოდშობილი ძე – იოანე 1:18; 1 იოანე 4:9.
  - 2. ეს პირმშო ძე ღმერთისა, თავის აღმდგარ ადამიანობაში, ასევე არის ღმერთის პირმშო – რომ. 8:29.
  - 3. პირმშოს აქვს ღვთაებრიობაც და ადამიანობაც, ხოლო ჩვენ, მის მორწმუნეებს როგორც ღმერთის მრავალ ძეს, ასევე გვაქვს ადამიანური ბუნებაც და ღვთაებრივი ბუნებაც – 2 პეტ. 1:4.

**V. ჩვენ უნდა ვიცნობდეთ ქრისტეს მის აღდგომაში, განსაზღვრულად ღმერთის ძედ ძალაში მისი ადამიანური ბუნებით – რომ. 1:3-4:**

- ა. თავის განკაცებამდე და აღდგომამდე ქრისტე იყო ღმერთის ძე, მხოლოდშობილი ძე – იოანე 1:18; 3:16.
- ბ. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტე უკვე იყო ღმერთის ძე განკაცებამდე, მისგან მაინც მოითხოვებოდა ღმერთის ძედ განსაზღვრება აღდგომიდან, რადგან განკაცების მეშვეობით ის შეიმოსა ადამიანის ბუნებით, რომელსაც არ ჰქონდა არაფერი საერთო ღვთაებრიობასთან – 1:1, 14; რომ. 8:3:
  - 1. მას შემდეგ, რაც ღმერთის ძე განკაცდა, მისი ღვთაებრივი ბუნება იყო დაფარული ხორციით.

2. ქრისტე უკვე იყო ღმერთის ძე თავის ღვთაებრიობაში, მაგრამ მისი ის ნაწილი, რომელიც იყო იესო ადამიანური ბუნებით, დაბადებული მარიამისაგან, არ იყო ღმერთის ძე – ლუკა 1:31-32, 35.
  3. თავისი აღდგომის წყალობით ქრისტემ გააწმიდანა და აამაღლა თავისი ადამიანური ბუნება, თავისი ადამიანობა, და განსაზღვრული იყო აღდგომიდან ღმერთის ძედ ამ ადამიანური ბუნებით; ამ თვალსაზრისით ის დაიბადა როგორც ღმერთის ძე თავის აღდგომაში – რომ. 1:3-4; საქმე 13:33; ებრ. 1:5.
  4. ეს განსაზღვრება ღმერთის ძედ იყო „ძალაში“, ქრისტეს ქრისტეს აღდგომის ძალაში, რომლის სინამდვილეც არის სული – რომ. 1:4; ფილიპ. 3:10; ეფეს. 1:19-20.
- გ. აღდგომაში განსაზღვრების წყალობით ქრისტე, რომელიც უკვე იყო ღმერთის ძე თავის განკაცებამდე, გახდა ღმერთის ძე ახალ ხარისხში – რომ. 1:4:
1. თავის განკაცებამდე ის იყო ღმერთის ძე მხოლოდ ღვთაებრიობით, თავისი აღდგომის წყალობით ის იყო განსაზღვრული ღმერთის ძედ ღვთაებრიობითაც და ადამიანობითაც – მუხ. 4.
  2. ქრისტე რომ არ შემოსილიყო ადამიანური ბუნებით, მას არ მოეთხოვებოდა, რომ განსაზღვრულიყო ღმერთის ძედ, რადგან თავის ღვთაებრიობაში ის უკვე იყო ძე ღმერთისა ჯერ კიდევ მარადისობიდან – იოანე 1:18; 17:5.
  3. ადამიანობაში შემოსილი განკაცების მეშვეობით, ის იყო განსაზღვრული ღმერთის ძედ ადამიანობით აღდგენაში – 1:14; რომ. 8:3; 1:3-4; ებრ. 2:14:
    - ა) როგორც განსაზღვრულ ღმერთის ძეს, ქრისტეს აქვს ორი ბუნება, ღვთაებრიობა და ადამიანობა; ის ადამიანობა, რომელიც აქვს მას დღეს, – ეს არის არა ბუნებრივი ადამიანობა, არამედ ადამიანობა, ამალღებული აღდგომაში – რომ. 1:4.
    - ბ) ქრისტეს ადამიანური ბუნებაც კი განსაზღვრულია ღმერთის ძედ, რადგან ის განსაზღვრულია ღმერთის ძედ ღვთაებრიობითაც, და ადამიანობითაც.
- დ. ქრისტეს განსაზღვრა ღმერთის ძედ ადამიანობით იყო „სიწმიდის სულის თანახმად“ – მუხ. 4:
1. სიწმიდის სული არის სასიცოცხლო არსი უფალ იესოს შიგნით; როდესაც ის ცხოვრობდა დედამიწაზე ხორცში, მის შიგნით იყო ეს არსი – მათე 1:18, 20; ლუკა 1:35.
  2. როდესაც უფალი იესო აღდგა მკვდრეთით, ის იყო განსაზღვრული ღმერთის ძედ ძალაში აღდგომის მეშვეობით სიწმიდის სულის თანახმად, რომელიც იყო მასში – რომ. 1:4.
  3. ახლა ის არის ღმერთის ძე კიდევ უფრო საოცარი აზრით, ვიდრე ადრე, რადგან ახლა მას აქვს ღვთაებრივი ბუნებაც და აღდგომაც, გარდასახული, ამალღებული, განდიდებული და განსაზღვრული ადამიანური ბუნება – 6:4; ლუკა 24:26; იოანე 17:5; საქმე. 3:13.
- ე. ჩვენ უნდა შევაერთოთ რომ. 1:3-4 და 8:29:
1. თავისი განკაცების, ჯვარცმისა და აღდგომის წყალობით ქრისტე, ღმერთის ძე, გახდა პირმშო ძე, ხოლო მრავალი ძმა, რომლებიც არიან ქრისტეს ძმები, ემსგავსებიან მის სახეებს – ებრ. 2:10-11; რომ. 8:29.
  2. რომ 1:3-4-ში ქრისტე, ღმერთის ძე, – ეს არის „საცდელი ნიმუში“, ხოლო 8:29-ში მრავალი ძმა – არიან ისინი, ვინც წარმოადგენენ „სერიულ

- წარმოებას“, მიღებულს ამ „საცდელი ნიმუშიდან“, და ვინც, განიცდის გადარჩენას სიცოცხლეში, იქნება დამსგავსებული პირმშო ძის სახებასთან.
3. ამას მივეყვართ ჩვენ გაღმერთების საკითხთან და გულისხმობს, რომ ღმერთს თავის სახლმშენებლობაში განზრახული აქვს გახდეს ადამიანი, რათა ქრისტეში ჩვენ, მორწმუნეები ქრისტეში და ღმერთის შვილები, გავხდეთ ღმერთი სიცოცხლით, ბუნებით და შემადგენლობით (მაგრამ არა ღვთაებაში); ასეთი მინიშნება განსაკუთრებით დიადია, და საბოლოოდ ბიბლია სრულდება სწორედ ამით – მუხ. 29; 1:3-4; იოანე 1:1-13; 1 იოანე 3:1; გამოცხ. 21:2, 10-11.